საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 30 კაპ.

ფასი 30 კაპ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ

ᲧᲝᲚᲘᲤᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

№ 87 შაბათი, 9 ნოემბერი, 1918 წ. № 87

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოამბე ეროვნული გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

საგალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება ღილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

სახელმწიფო თეატრი

შაბათს, 9 ნოემბერს 1918 წ.

რომეო და ჯულიეტა

სამანეველს და ბერეზინის ფასები საგრძნობლად დაკლებულია.

ოპერა 5 მოქმ. მუსიკა პუნინი. დირიჟორი სამოსუდი

დასაწყისი საღ. 8 საათზე

კვირას, 10 ნოემბერს, დღით, შუდგინის, ბერეზინის და ვრონსკის მონაწილეობით „ეგვენი ონეგინი“. საღამოს—შვანბერგის, კანშინის და ისეკის მონაწილეობით „ᲣᲘᲓᲝᲛᲙᲐ“. ორშაბათს, 11 ნოემბერს ორდას მონაწილეობით „ბორის გოდუნოვი“. სამშაბათს, 12 ნოემბერს, სამანეველს მონაწილეობით “ტრავიატა“. ოთხშაბათს 13 ნოემბერს ალეშკოსა და ორდას მონაწილეობით „ტოსკა“.

ოპერის წარმომადგენელი ს. ი. ეფლახოვი.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

5 000 000 მან.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲝᲑᲐ 100000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐ

ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ ᲘᲧᲘᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

***

ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐ ᲓᲘᲓᲗᲐ ᲥᲣᲠᲣᲛᲗᲐ
ᲒᲣᲫᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲔᲦᲔᲚᲘᲡᲐ;
ᲘᲥ ᲡᲒᲐ ᲜᲔᲜᲐᲨᲘ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ ᲡᲘᲪᲧᲣᲐ
ᲓᲐ ᲦᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ ᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ.

ᲓᲔᲓᲘᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘ,
ᲓᲐᲨᲕᲔᲚᲘ ᲭᲘᲜᲓᲐ ᲙᲐᲠᲘ ᲡᲘᲪᲮᲘᲜᲘᲡᲐ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲔᲓᲐ ᲓᲘᲓᲘᲛᲔ ᲒᲐᲜᲔᲒᲔᲑᲐᲛ
ᲓᲐ ᲛᲝᲒᲔᲑᲔᲓᲐ ᲡᲘᲪᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲛᲓᲘᲜ, ᲛᲝᲩᲘᲜᲔᲗ ᲗᲘᲗᲝᲜᲘ ᲐᲒᲣᲩᲘᲠ
ᲓᲐ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ,
ᲘᲥ ᲛᲗᲐ ᲔᲜᲘᲗᲐ ᲛᲘᲪᲘᲔᲠᲝᲑᲘᲡ,
ᲘᲥ ᲘᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲫᲜᲐᲠᲘ.

60—38—412

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲡᲐᲒᲭᲝᲡ ᲠᲯᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ

აცხადებს, რომ თანახმათ ცენტრალურ სასურსათო საბჭოს 4 ნოემბრის ამა 1918 წ. დადგენილებისა ბადიაურის თივე-ბზის დასამზადებელ სადგურზე (ახეთის რკინის გზის ბადიაურის სადგურის მახლობლად) კვირას, 10 ნოემბერს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა აღნიშნულ სადგურის ზედმეტი ცხრა ცხენისა. 1000 4—4

Ი. ᲒᲠᲘᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲕᲐ

იყიდება „სახალხო საქმის“ რედაქციაში

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ამით აცხადებს, რომ ტფილისის სამხედრო პირველ სურსათის მთავარ საწყობში 17 ნოემბერს საჯარო ვაჭრობით გაიყიდება 120 ფუთი უვარგისი ბზე, 300 ფუთი უვარგისი ქვამარილი, 2000 ფუთი უვარგისი ხილი ჩირი და 1000 ცალი ფუთიანი ბუნების ბეტონები. საჯარო ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზედ. დაწერილებით პირობების გაგება მსურველთ შეუძლიანთ გაიგონ ზემოხსენებულ საწყობში და სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილში. 900 3—2

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲒᲐ

აცხადებს, რომ საბჭოს სარეკომენდაციო კომიტეტის დადგენილების თანახმად ამ პირთ, რომელთაც სურთ კენტი იყარონ მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე ქ. ტფილისში, თხოვნები უნდა შემოიტანონ ერთი კვირის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვისა. კანდიდატები უნდა იყვნენ ყოფილ ებდენ კანონის იმ მოთხოვნილებებს მომრიგებელ იუსტიციის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია გაზ. „სქ. რუსა“ № 58 № ში. ცნობების მიღება შეიძლება მაართველობაში ხმოსანთა სარეკომენდაციო კომისიის მდივანთან. 895 2 1

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚ ᲒᲐᲜᲐᲣᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ

ᲒᲖᲘᲡ, (ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ქუჩა № 70) ამა 11 ნოემბერს (ახალი სტილით) დილით 11 საათზე 1918 წელს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შესახეიეად სამმარ ქალაქისა 4000 ფუთამდე. დაწერილებით: ქ. ტფილისი, შემოსავალი განყოფილება ქართულ რკინის გზისა, ჩრდილოეთის ქუჩა № 70. 10-დან 4 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა. 1004 3—1

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ Ი. Კ. ᲐᲒᲐᲙᲘᲫᲔ

ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘ ᲐᲕᲐᲓᲧᲝᲤᲝᲑᲐ.

განსაკუთრებით ავადყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუთქისა, ფილტვების აკაკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐ სისხლხაკლულობისა და მალარიისა.

ავადყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა.

28 აგვისტო, 1918 წ.

ᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲣᲚᲘ ᲘᲛᲘᲜᲘ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ტფილისის ტელეგრაფის კანტორის IV ხარ. ვლადიმერ მარჩენკო, ნიკოლოს ენიაჯოვი, კონსტანდილი რიუმეკი, აბრამა საკიანცი, კარაპეტ მელიკიანცი, სტანისლავ ვოიეცხოვსკი, ეკატერინე ლისოგორი, ოლგა ემელიანოვისა, ლიუდმილა ჩიკი, ზინაიდა სარაკიანცი, მარიამ არნოლდიდი, ვარვარა ჩერნიავსკაია, ნინა გორიდი, ნადეჟდა შველენკო, ლიდია ჩერნოვსკისა, ზოია გავრიდი კეკეჩისა, კსენია ოლშევსკისა, ანნა ხიტროვისა, ნადეჟდა რადომსკისა, ელენა, მალია ვარტანესოვისა, ვალენტინა ივანოვისა; V ხარ. იაკობ პაზური, მიხეილ შუბალოვი, ალექსანდრე ხომინსკი, ლაზარ სარკისიანცი, ივანე გეტმანოვი, პეტრე კულაკოვი, სავა შახნოვიჩი, აზოტ ისაკიანცი, სოფიო გეგორკიანცისა, ევგენია გონჩარუკისა, ვერა სმირნოვისა, ანნა ავდეევისა, ალექსანდრა ბონდარენკოსი, ტატიანა გლადკინისა, ვერა ლავუნსკისა, ანნა კონდრატენკოსი, ნატალია პეტანდერისა, იულია კლოსეკისა, მარიამ ვეინიამნოვისა, ანტონინა ლინდშტატ, კლარა კონტელ მარიამ გუკასოვისა, ელენა კუცენკოსი, ელენა ანდრეევისა, ნადეჟდა მაისტრენკოსი, ევგენია მატინოვისა, ვერა პოპოვისა, ოგანესი აბოიანცისა, მამედ ჯაფაროვი და მარიამ კომისაროვისა; VI ხარ. ფრიდუს ალიევი, ბორის პაველენკო, მარიამ კუზმინა, ნინა ივანოვისა, სოფიო ორლოვსკისა, ემილია კროტალ, ლიუბოვ სკლიარენკო, ელენა ანდრიანოვა, ოლგა სკომოროვსკისა და ოლგა ლისოვსკისა; ტფილისის ფოსტის კანტორის 1 ხარ. ივანე სუხაჩევსკი, ზარმაირ ტერ-დავტიანც, ამბარცუმ გუკასოვი, ლუკა ბორისოვი, ბაგრატ ერზიკიანცი და პრობარ განჩარ-კაფელნიკოვი; II ხარ., ვარვარა ტერ-ასატუროვი, ნიკოლოზ ანტონოვი, აკიმ კუცენკო, კონსტანდილ მიროშნიკოვი, ეკატერინა ზარემბიკაია, ტიხონ სიგრსკი, მარია ონუფრიკისა, გრიგოლ ალექსანკარიანი, სტანისლავ ბუტკოვსკი, არსენ მირზოევ-შახნაზაროვი, კარაპეტ ასლამაზოვი და ეკატერინა გონჩარ-ვიფელნიკოვა; III ხარ., ოვანესი მერაბიანცი, იულია ბაუხი, მიკირტიჩ პეტროსიანცი, სიმონ ფხიკუნი, თეოდორე მაზანკო, იაკობ ტადოიანც-მაკარიანცი, მიხეილ რონჩეკ და ლეონ ტერ-გრიგორიევი; IV ხარ.: ნიკოლოზ ტერ-აკოპიანცი, ტარასი კირაკოსიანცი, ივანე ბერეზოვსკი, გეორგი მარკარიანცი, ანდრია იაკუტოვიჩი, კირილე გორეკი, ივანე ბორისკინ-არტამონოვი, გარეგინ ბაგინიანცი, მარიამ კორპუეესკაია, გეორგი დურიხანიანცი, გეორგი ტერ-სიმონიანცი, ივანე ტატუზოვი; V ხარ.: ოლგა კლიმოვისა, მიგრან მიტარდეანცი, არხიპ ლაპჩენკი, პაველ სიროვატკინი, ევგენია პოპოვისა, ნონინლი ბოსენკო და მარიამ მუსიაჩენკო; VI ხარ.: ვარვარა ჩერნიკოვისა და ვერა ბაშიდეგოვისა და ტფილისის ფოსტის კანტორის ფოსტალონები, სტეფანე პასტუშენკო, ანტონ კოვალევსკი, ბაგრატ ოვაკიმიანცი, ვასილ ტვერდოხლებოვი, ედვინ-ნარცელია მაკარეკვიჩი, ტიხონ სერებრიაკოვი, აბდულ-ახად მანასოვი, ალექსი ზენნინ, არმენაკ კარაპეტიანცი, გრიგოლი დანილიანცი, ალიმეგე ბაგრამოვი, კარაპეტა ნაზარეტიანცი (იგივე ბაღდასარიანცი) ნიკოლოზ რიდვან-რიპინსკი, აკაკი საროევი, სარქისა საკიანცი, კონსტანდილე პოპოვი, ლევან ბაღდასარიანცი, სოფიო შელომოვა, ანტონინა პუკასი, ოლგა ზჩერბაკოვისა, ალექსანდრა მაკარეგიჩისა, ანტონინა კოპეიკინისა, ანნა უკოლოვისა, აზზონ აკოპიანცი, ნადეჟდა კურდიპოვისა, ბენიკ პეტროსიანცი, სკრანუშ კაზაროვი, ივანე მიხეიჩევი, ალექსანდრე ფოდოროვი, მიხეილ ალიევი, გალუსტ გეგელიანცი, მარიამ სობრინსკაისი, იულიტა რიაბნიკაისი, ეკა გულიანცი, ანტონინა ოკუნევისა, მარია გაიდარენკოსი, მისაკ მნაცაკანიანცი, ბახშო ბაისტიანცი, ვრასკოვია სილეკკაისი, გეორგი ბუდაგიანცი, ნავრუს ისა ოღლი ემინოვი, ხარიტონ ბეგიზოვ და ელისაბედ მატინოვისა, თანახმათ საქართველოს დემკრ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობისა 20 ივლისდან 1918 წ. № 13243.

ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚ ᲘᲛᲘᲜᲘ: ფ.-ტ. მოხელე V ხარ. ბათუმის ტელეფონის ქსელისა ანნა ფლოროვიჩისა და ფოსტალიონი სოხუმის ფ.-ტ კანტორისა ვლადიმერ ვოლსკი და ფლორეოვიჩი. ვოლსკი თანახმათ მისივე თხოვნისა.

ოლქის უფროსი მ გ ე ლ ა ძ ე.

ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲛᲝᲚᲬᲝᲚᲓᲔᲑᲐ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა ახალციხის და ახალქალაქის მაზრების მცხოვრებლებისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო, მოკლებული იყო საშუალებას ახალციხის და ახალქალაქის მცხოვრებლებისადმი თავისი მზრუნველობა აღმოეჩინა. ეს კუთხე, რომელიც ხანმოდღენიმე თვე, გარეშე ძალების მეთხებით, მოშორებული იყო საქართველოზე, დღეს უკვე უბრუნდება მას, რადგანაც, ოსმალეთის მთავრობისაგან მიღებულ ცნობებით, ეს კუთხე უკვე იცლება ოსმალოს ჯარებისაგან. ამითი საქართველოს მთავრობას საშუალება ეძლევა გაუწიოს ამ დაზარალებულ კუთხეს დახმარება და ახლო მომავალში შეუსუბუქოს მცხოვრებლებს მათი ძმის და აუტანელი ცხოვრების პირობები. ამის გამო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ის შედის ამ კუთხეში შეუფუყველი გადაწყვეტილებით,—მოჰგვაროს მას მშვიდობიანობა და წესრიგი, რომელიც არის თავდებ

ნორმალური ცხოვრებისა და თავისუფალი შრომისა.

ვინაიდან, თანახმად მიღებული ცნობებისა ზოგიერთ ბოროტ-განმზრახველ პირებისაგან ვრცელდება სიმართლეს მოკლებული ბოროტი ხმები, ვითომდა აღნიშნულ კუთხის მუსულმან ცხოვრებლებს მოელოდეს საქართველოს მთავრობისაგან გასამართლება და სასტიკი სასჯელი,—საქართველოს მთავრობა ამით კატეგორიულად აცხადებს, რომ ზმები ბოროტ-განმზრახველთა უტიფარი ცილისწამებაა. პირიქით, ეს დარბეული და დაზარალებული კუთხე თავის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საქართველოს მთავრობისაგან მიიღებს გულწრფელ მზრუნველობას და ყოველმხრივ დახმარებას.

საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ ახალ-ციხის და ახალ-ქალაქის მცხოვრებლები, განურჩევლად ეროვნებისა, შეიგნებენ მდგომარეობის დიდნნშვნელოვანობას და საქართველოს მთავრობასთან მტკიცე თანამშრომლობით გამოიჩენენ საჭირო მშვიდობიანობას, რითაც ხელს შეუწყობენ მთავრობას ამ ორ მაზრის აღსადგენად და მოსაწყობად ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის საზღვრებში, საქართველოს ხალხთან ძმურ ურთიერთობის და თანამშრომლობის ნიადაგზე.

კონფერენციის გამო

ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა დემოკრატიულ პოლიტიკას აწარმოებს. ავრესეოლოგია მის სფეროში არ შედის და მშვიდობიანობის გზა კი მისთვის ერთადერთი გზაა. სომხეთთან კონფლიქტმა ეს აშკარად დაამტკიცა. ჩვენმა მთავრობამ მიიღო ყოველგვარი ზომები და საშინელი საფთხე აიცილა ორივე მეზობელს. და არამც თუ მარტო ეს! საქართველოს მთავრობამ შემდეგი ნაბიჯიც გადასდგა, ნაბიჯი, რომელიც მიმართულია ერთა შორის მეგობრულ მეზობლობის და მშვიდობიან ცხოვრების განსამტკიცებლად. საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით ბ. ნ. ვ. რამიშვილის წინადადება—მიმართვას სომხეთისადმი, ადერბეიჯანისა და მთიელთა კავშირისადმი მხოლოდ ეს აზრი და მიზანი ჰქონდა და აქვს. როგორც ვიცით, ბ. ნ. ვ. რამიშვილის წინადადებას კონფერენციის მოწვევის შესახებ თანა სდეედა კონფერენციის დღის წესრიგი, საკითხები, რომელიც კონფერენციას უნდა გაერჩია. კონფერენციის ამ დღიურმა წესრიგმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია და განსაკუთრებით სომხური პრესა ალაპარაკდა. თითქმის ეჭვის თვალითაც შეხედეს და წმინდა ფორმალურ თვალსაზრისზე დადგნენ. რა უფლება ჰქონდა საქართველოს მთავრობას სხვების დაუკითხავად მოეწვია კონფერენცია და მარტო მას შეედგინა დღიური წესრიგიო. ასეთ ფორმალურ ნიადაგზე დადგომა, რასაკვირველია, მეტად ახასიათებს ამ აზრის დამცველთ, ახასიათებს მთ მიღრეკილებებს... ჩვენ თავიდან გვეგონა და ვფიქრობდით, რომ ეს უბრალო—ფორმალური საკითხი სადავო და საეჭვმანო არ გახდებოდა, რადგან საქმე, ყველასათვის ცხადია, მეტად საშური და საჭიროა არის, რადგან კონფერენციის დღიური წესრიგი ყოველთვის შეიძლება გაფართოვდეს ან შემოკლდეს კონფერენციაში მონაწილეთა სურვილის თანახმად. ეს ცხადია, და არა გვგონია, რომ ეს არ იცოდნენ მათ, ვინც ბევრს გაჰყვიროს ფორმალურ მხარის შესახებ.

ახლად დანიშნულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. ე. ჯ. გეგეჭკორმა სწორედ ასე შეხედა საკითხს და თავისი განმარტებით ნიადაგი გამოიცალა ყვიჩალა ფრაზიორებს. ბ. ე. გეგეჭკორმა სომხეთის წარმომადგენელს გაუგზავნა ნოტა, რომლითაც ბ. მინისტრი მას ატყობინებს, რომ კონფერენციის პროგრამას კონფერენციის მუშაობისათვის აქვს წინასწარი ხასიათი და რასაკვირველია, კონფერენციის მონაწილეთ აქვთ სრული შესაძლებლობა, რომ დღიურ წესრიგში სხვა საკითხებიც დასვან. კონფერენცია უნდა შეიდგეს. ეზაოო რამდენ გონიერებას და ინტერესების შეეხებას გამოიჩენენ კონფერენციაში მონაწილენი.

საქართველოს რესპუბლიკის ეგელა რკინის გზების

და მის გარშემო ადგილებისა (სამხრეთ ნაწილს სადგურ ნავთლუღის გამოკლებით) ფოთის ნავთსადგურის და მისი რაიონის გენერალ-გუბერნატორისა.

ვაცხადებ საყოველთაოდ, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის ყველა რკინის გზებზე და ფოთის ნავთ-სადგურზე გამოცხადებულია სამხედრო წესი, პირნი, რომელნიც ჩაიდენენ რაიმე დანაშაულებას ამ ტერიტორიის რაიონში, (ჩამოთვლილია მე-17 მუხლში დამატება მე 23. მუხლისა გუბერნიის დებულებისა), პიცემუნონი იქნებიან კანონის ძალით სამხედრო სამართალში და დასჯილნი სამხედრო კანონების მიხედვით.

გენერალ-გუბერნატორი

გენერალ მაიორი: ყარაულ აშვილი.

ამონაწერი მე 17 მუხლიდან მე-23 მუხლის დამატებისა საერთო საგუბერნიო დებულებისა: იმ ადგილებში, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები, სამოქალაქო უწყების პირნი, რომელნიც არ არიან ჩარიცხულნი ჯარში ან მიწერილნი მასში, პიცემენ სამხედრო სამართალში და დაისჯებიან სამხედრო დროის კანონით შემდეგ დანაშაულის ჩადენისათვის:

1) ამბოხება უზენაესი მართველობის წინააღმდეგ და სახელმწიფო ღალატისათვის;

2) განზრახ დაწვა ან სხვა განზრახვით განადგურება, ან ხმარებისათვის გამოუსადეგრათ ქცევა სამხედრო შეიარაღებისა და მოწყობილობისა და საერთოდ ყველა იმისა, რასაც კავშირი აქვს თავდაცვისა და თავდასხმის საშალებებთან და აგრეთვე სხთადარიგოთ შენახულ სურსათსა და საკონლის საკვებთან;

3) განზრახ განადგურება ან საგრძნობლად დაზიანება სათბარ მოქმედების რაიონში წყალსადენებისა, ხიდებისა, ბოგირების, სადგურებისა, წყალჩამოსაშვების, ტეხის, გზების, ფონნების ან სხვა ტ სხვა საშუალებების, რომლებიც ხელს უწყობენ მიმოსვლას, გაღმა გასვლას, ნოსნობას, წყალდიდობის ასაცდენ ზომების მიღებას, ან სამირონი არიან წყლის მიწოდებისათვის;

4) განზრახ განადგურება ან საგრძნობლად დაზიანება იმ საგნებისა, რომლებიც საჭირონი არიან მთავრობისათვის სახმარებლათ, სახელდობრ: ა) ტელეგრაფისა, ტელეფონისა ან სხვა საგნებისა, რომელნიც მოწყობილნი არიან ცნობების გადასაცემად და ბ) რკინის გზის ლინდგის მიერავ შემადგენლობისა ან სხვა ნაშენებისა, რომელნიც საჭირონი არიან სარკინისგზო მიმოსვლისა და ნაოსნობის უზრუნველყოფად და

5) თავდასხმა დარაჯზე ან სამხედრო მცველზე, სამხედრო მცველისა ან სამხედრო და სამოქალაქო მილიციისა მოხელეთათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევად ან აგრეთვე მოკვლა დარაჯისა, სამხედრო მილიციისა და მცველებისა.

ტფილისი 6 ნოემბერი, 1918 წელი.

საკანონმდებლო დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ყველა რკინის გზების (გარდა სამხრეთ ნაწილისა სადგურ ნავთლუღიდან) და ამ გზების გარშემო მდებარე ადგილების, აგრეთვე ფოთის ნავთსადგურის და მის რაონის გენერალ-გუბერნატორისა. გამოცემულია გუბერნიის საზოგადო დებულებისა მე-23 მუხლის დამატებისა მე-19 მუხლის ძალით (ტომი 1 კანონთა კრებულისა).

§ 1.

1) მთავრობის განსაკუთრებულ ნებადაურთველად აკრძალულია ყველა პირთათვის შენახვა და გადატან-გადმოტანა ყოველგვარ იარაღისა, სოიმარ მასალისა და ასაფთქებელ ნივთიერებისა რკინის გზის მიდამოებში.

2) აკრძალულია ყოველგვარ იარაღის ტარება ყველასათვის გარდა იმ პირებისა, რომელნიც მას ატარებენ სამსახურის გამო და აგრეთვე იმ პირებისა, რომელთაც აქვთ ამის სათანადო ნებართვა.

3) აკრძალულია ტარება ყოველგვარ უჩინარ იარაღისა, როგორც ჯოხებში ჩართულისა, ისე კასტეტებისა და სხვათა.

4) აკრძალულია რკინის გზის მიდამოებში მანიფესტაციები, სადემონსტრაციო პროცესიები და საჯაროდ სიტყვების წარმოთქმა, შეკრებილნი მოვალენი არიან დაიშალნენ რკინის გზის მილიციის, სამხედრო ყარაულისა და აგრეთვე სამსახურის მოვალეობის ამსრულებელ რკინის გზის აგენტის პირველ მოთხოვნისათანავე.

5) ყრილობები და კრებები შეიძლება გაიმართოს მხოლოდ ჩემის ნებართვით, რისთვისაც საჭიროა გზის ან ფოთის ნავთსადგურის უფროსების შუამდგომლობა.

6) მატარებლებში მყოფთ ეკრძალებათ დადგომა კიბეებზე, ბოფერებზე, ბანზე, ვაგონის ტორშოზზე და სხვა გადაგილ ვაგონების გარეთა ადგილებზე. აგრეთვე აკრძალულია შეხტომა-გადმოხტომა მატარებლიდან უკანასკნელის გაჩერებისა და დადგომამდის.

7) აკრძალულია მგზავრობა ორთქლმავალებზე და ტენდერებზე იმ პირთათვის, რომელთაც ამის ნებართვა არ ექნებათ რკინის გზის ადმინისტრაციისაგან.

8) აკრძალულია რაიმე ბარგის გადაზიდვა ორთქლმავალზე და ტენდერზე.

9) აკრძალულია გამოქვეყნება ან საზოგადოებაში გავრცელება:

ა) იმნაირ ცრუ ხმებისა მთავრობის მოქმედების და განკარგულების, ან ადმინისტრატიულ პირების, ჯარის, სახალხო გვარდიის ან მისი ნაწილის შესახებ, რომელთაც შეუძლიანთ გამოიწვიონ მცხოვრებლებში მათდამი მტრული განწყობილობა;

ბ) ისეთი ცრუ ხმებისა, რომლებიც გამოიწვევენ საზოგადო შიშიანობას მთავრობის განკარგულებათა გამო, აგრეთვე გავრცელება ყალბი ცნობებისა საერთო უბედურობისა და სხვა რამ მოვალენთათა შესახებ.

10) აკრძალულია დამზადება, ან შეკეთება რკინის გზის სახელოსნოებში ყოველგვარ იარაღისა და აგრეთვე იარაღის დაყიდვა რკინის გზის (მიდამოებში) და რკინის გზის კიოსკებშიაც.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება იმ სახელოსნოებზე, რომლებშიც მზადდება იარაღი რკინის გზის მილიციისათვის.

11) აკრძალულია გაკვრა ყოველგვარ განცხადებებისა, მოწოდებებისა და სხ. რკინის გზის მიდამოებში. გამონაკლისს შეადგენენ მგზავრთათვის აგებული შენობები, სადაც განცხადებების გაკვრა საერთო კანონის მიხედვით ნება დართულია სათანადო მთავრობისაგან.

12) აკრძალულია რკინის გზის სახაზინო სადგომებში, მილიციის დაუკითხავად და მის ნებადაურთველად, ღამის გასათევად მიღება, ან ერთ დღე-ღამეზე მეტხანს დატოვება საცხოვრებლად ნაოსანებისა, ნაცნობებისა და საზოგადოთ გარეშე პირთა.

13) აკრძალულია სხვა პირთათვის გადაცემა იმ ნებართვისა, მოწმობებისა და სხვა ამგვარ საბუთებისა, რომელთაც სარკინისგზო ადმინისტრაცია აძლევს თავის მოსამსახურეებს სახელოსნოებში, დეპოებში, კანტორებში, საწყობებში ან სხვაგან სადმე შესასვლელად.

14) აკრძალულია იმ პირთათვის, რომელთაც ამის ნებართვა არ ექნებათ, მოაჯირის ახსნა-დახურვა, ისრის გადაწევა-გადმოწევა, ნიშნების მიცემა და მოძრავ შემადგენლობის გადაწევა ერთი მხრიდან მეორე მხარეზე.

15) აკრძალულია საქონლის დატოვება ან მისი გადაყვანა რკინის გზის ლინდგზე ბგრად ამისთვის განსაკუთრებით ნაჩენებ ადგილებისა.

16) აკრძალულია რკინის გზის მიდამოებში მაგარ სასმელებით ვაჭრობა და მათი სმა.

17) აკრძალულია ნებადაურთველად რკინის გზის მიდამოებში ადგილების ფოტოგრაფიულად ან სხვა რაიმე საშუალებით გადაუღება.

18) აკრძალულ აქვთ რკინის გზის ყველა მოსამსახურეებს რაიმე საუბარი იქონიონ გარეშე პირებთან ჯარების მიმოხიდვისა და ამის გამო იმ განკარგულებების შესახებ, რომელიც გაკეთებულია საგზაო ადმინისტრაციისა ან სამხედრო უწყების მიერ.

§ 2.

1) აკრძალულია აქვთ ყველა პირთ, რკინის გზის მოსამსახურეთა გარდა:

ა) რკინის გზის ლინდგაზე სიარული, გარდა იმ ადგილებისა, რომელიც მინნეულია ასეთად.

ბ) ყოფნა მოსამსახურეთა შენობებში, სახელოსნოებში, დეპოებში, კანდუქტორთა და ორთქმავალთა ბრიგადის სასვენ ოთახებში და საზოგადოდ იმ შენობებში, რომლებსაც წარწერა აქვთ, რომ იქ შესვლა აკრძალულია გარეშე პირთათვის.

გ) დაჩენა რკინის გზის მიდამოებში გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც მინნეულია მგზავრთათვის (სადგური, საბარგო კანტორა, სამგზავრო და საბარგო ბაქანები) ამისთვის დანიშნულ დროს.

დ) ცხოვრება რკინისგზის შენობებში სარკინისგზო ადმინისტრაციის ნებადაურთველად.

ამ საკანონმდებლო დადგენილების დამრღვევნი დატუსაღებულ იქნებიან 3 თვემდე, ან გადახდიან ჯარიმას 3.000 მანეთამდე.

ამ გარეთვე დაისჯებიან:

ა) დანაშაულნი, რომელნიც არ შეასრულებენ სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს რკინის გზის აგენტის კანონიერ მოთხოვნას გარდა ისეთ შემთხვევისა, როცა ამ მოთხოვნის შესრულებას შედეგად მოჰყვება ვისიმე სიკვდილი, ან ჯანმრთელობის გატეხა;

ბ) დამნაშავენი რკინის გზის გადუუბაში ანუ რკინის გზის შეკვრაში აშკარა გაუფთხილებლობით;

გ) დამნაშავენი ტეხნიკურ ეკსპლოატაციის კანონების დარღვევაში სადგომებიდან მატარებლების თავისუფალ დაუხანებლად გაშვების შესახებ ლინდგაზე;

დ) დამნაშავენი ამავე წესების დარღვევაში დამორჩილების შესახებ მატარებელ და ორთქმლმავალ ბრიგადის მოსამსახურეთა მხრივ სადგურის უფროსების განკარგულებისა მატარებლების მიმოსვლის დროს სადგურებზე და სადგომებზე;

ე) რკინის გზის მცველნი, რომელნიც, დაუდევრობისა გამო ვერ შეამჩნევენ ლიანდაგის გაფუჭებას ან თავისუფალ მოძრაობის შემაფერხებელ სხვა დაბრკოლებას;

ვ) უბილეთო მგზავრნი;

ბ) ის მგზავრნი, რომელნიც ან ფანჯრებიდან, ან კარებიდან გამოიყურებიან მატარებელის ხიდზე გავლის დროს;

ჰ) ის პირნი, რომელნიც არ შეასრულებენ უფროსთა კანონიერ მოთხოვნას, ან სხვა პირთ შეუწლიან ამნაირ მოთხოვნის შესრულებას;

თ) ის პირნი, რომელიც გადასცემენ შიფრიან კეტრეთ პირთა დეპეშას;

ი) ის პირნი, რომელნიც რკინის გზის მიდამოებში გამართავენ ან ბანქოს, ან აზარტში მომყვანს სხვა თამაშს.

ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

გენერალ-გუბერნატორი

გენერალ-მაიორი **ყარაულაშვილი.**

მთავრობის თავმჯდომარის ბ. ნ. ნ. ჟორდანიას სიტყვა

საქართველოს პარლამენტის ნოემბრის შეიდის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. ნ. ჟორდანიამ შემდეგი განაცხადა:

— მოქალაქენო! მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი: თქვენ ალბათ იცით მშვენიერათ, ისე როგორც ჩვენ, რომ ხაქმეები მთავრობაზე უფრო და უფრო რთულდება და მრავლდება მაშინ, როდესაც სრული კომპლექტი მინისტრებისა აქ არა გვყავს. ერთი მინისტრი არის ბერლინში. ამიტომ მოგეხსენებათ, რომ ორი უწყება ჩაბარებული აქვს ერთ მინისტრს, რომელიც საქართველოში მართავს შინაგან საქმეთა სამინისტროსაც. ამასთან მოგეხსენებათ, რომ გარეშე საქმეთა მმართველს არა ჰყავს ამხანაგი. იგი წავიდა ევროპაში. მაშინ, როდესაც როგორც მოგახსენათ, საქმეები რთულდება და დღითი-დღე მრავლდება. უნდა იყოს სპეციალური კაცი მოწვეული, როგორც საგარეო საქმეთა მმართველათ, აგრეთვე მთავრობის სხვა და სხვა საქმეებში მონაწილეობის მისაღებათ. ვფიქრობ ეგვანი გეგეჭკორს შემოსულიყო მთავრობაში, როგორც მინისტრი უპორტფელოთ. ის ჩვენს წინადადებას დასთანხმდა და უკვე ითვლება ჩვენს უწყებაში, როგორც მმართველი საგარეო საქმეებისა. (ტაში მარცხნიდან). უნდა ვსთქვათ, რომ ესეც ჩვენ დღეს არ გვაძაყოფილებს, ვინაიდან ბევრი რთული საგარეო საქმეები აქ იჭრება. ჩვენ ვთვლით საჭიროთ, ვინაიდან ეხლა შეუძლებელია ჩხენკელის ბერლინიდან გამოწვევა, თვით საგარეო საქმეთა მინისტრი ჩვენ გვინდა იქ დიტოვოთ იგი ელჩათ და აქ საგარეო საქმეთა მინისტრათ კი დავტოვოთ ეგვენი გეგეჭკორი.

მთავრობაში

დელეგაცია.

მთავრობის თავმჯდომარეს ბ. ნ. ჟორდანიას წარუდგა დელეგაცია რუს ეროვნულ საბჭოსი, რომელშიაც შ. ფიდენენ: სემინოვი, მაიოროვი და სტრულბიკეი. დელეგაციამ მოლაპარაკება იქონია საქართველოს რესპუბლიკის დამოკიდებულობის შესახებ რუს ეროვნულ საბჭოსადმი.

საათის გადაწევა.

მთავრობის დადგენილებით ორშაბათს, 11 ნოემბრიდან, საათის დრო ერთი საათით უკან უნდა იქნეს დაწეული.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

დუშეთის გლეხთა კომიტეტის მოხსენება.

დუშეთის გლეხთა კომიტეტმა შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი მოხსენება წარმოუდგინა: დუშეთის მაზრა დღეს კვლავ ერთგვარ მდელვარებას განიცდის, რის ზრდასაც ხელს უწყობს ერთის მხრივ გერმანელების წასვლა და მეორეს მხრით ადმინისტრატიულ აპარატის დაშლა, აგრეთვე შეიარაღებულ ძალის მილიციისა. ამ უკანასკნელს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, მთელ მაზრაში დღე არ გავა, რომ ყაჩაღობა და ქურდობა არ მოხდეს განსაკუთრებით სამხედრო გზაზე, გამრავლდა დეზერტირები და არ არის ძალა, რომ შესაფერი ზომები მიიღოს. მილიციის დაშლას კიდევ ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მაგ

4—5 თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ და ეს მათ გულს უცრუებს სამსახურზე და თუ ისინი ამ მოკლე ხანში არ იქმნა დაკმაყოფილებულნი თითქმის ყველა სამსახურს მიატოვებს. მილიციის ფეხზე დასაყენებლად და გასამაგრებლად საჭიროა შესაფერი ღირსების კაცის დანიშვნა და გლეხთა კომიტეტს ასეთი პირად მიაჩნია ქსნის რაიონის კომისარი ალ. სარქვალაძე, რომელიც გასაოცარ სიმხნეს და ენერგიას იჩენს. გლეხთა კომიტეტი აღნიშნავს, რომ დროზე ზომების მიუღებლობა მაზრას კვლავ ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებს და გამოიწვევს კვლავ არეულ-დარეულს. დუშეთის მაზრასა კი როგორც საქართველოს კარს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცესო.

მაზრის კომისრების შესახებ.

ტფ. გუბერნიის კომისარმა წარუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენება იმის შესახებ, რომ მის მიერ წარდგენილი პროექტი მაზრის კომისრების ჯამაგირების მომატების და საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯების გადიდების შესახებ ჯერაც არ დამტკიცებულა. საქმეთა სამინისტროს მიერ, კომისარი აცნობებს, რომ მაზრის კომისრები დაბეჯითებით თხოულობენ, როგოც ჯამაგირების გადიდებას, ისე საკანცელარიო ხარჯების გაღებას; წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კანცელარიათა ფუნქცია შეჩერებულ იქნებაო კომისარი სთხოვს სამინისტროს დააკმაყოფილოს მის მიერ აღძრული შუამდგომლობა ამ საკითხის შესახებ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში.

სომეხთა იარაღი.

სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ბ-ნი ჯამალიანი გარეშე საქმეთა სამინისტროს საშუალებით მთავრობასა სთხოვს ნუ გადაიტანენ მნათაშვილს ქარავსლიდან არსენალში შესანახად იმ იარაღს და ქონებას, რომელიც სომხეთს ეკუთვნის და აქ დროებით არის გაშვებული შესანახად. ამასთანავე ბ-ნი ჯამალიანი სთხოვს მთავრობას დააჩქაროს თავის წარმომადგენელის დანიშვნა კომისიაში, ამ ქონების ერეკვაში გადასაგზავნათ.

ბ-ნი აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი—ელჩი.

ბ-ნი აკაკი ივანეს-ძე ჩხენკელი დაინიშნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ელჩათ გერმანიის მთავრობის წინაშე—ბერლინში.

იუსტიციის სამინისტროში.

ბათუმის სამმართველო ნაწილისათვის

იუსტიციის მინისტრის კანცელარიამ აცნობა მთავრობის საქმეთა სამმართველოს, რომ თანახმად იუსტიციის მინისტრის მოხსენებისა ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებაში 10 მილიონიან ფონდიდან 114000 მ. 70 კ. გადადებულ უნდა იქმნას ბათომის სამმართველო ნაწილში ნაწესახურთათვის შემწეობის აღმოსაჩენათ.

სამხედრო სამინისტროში

ნახვა და ცნობების მიღება.

1) სამხედრო მინისტრი მთხოვნელებს დაწარდგომის მსურველებს ღებულობს ორშაბათობით და ხუთშაბათობით $13^1/_2$ საათიდან 15 საათამდე.

2) მთხოვნელებს და წარდგომის მსურველებს სამხედრო მინისტრის თანაშემწეები ღებულობენ ორშაბათობით და ხუთშაბათობით $13^1/_2$ ს-დან 15 ს-მდე.

3) პიროვნულის შემადგენლობის განყოფილებაში და საერთო განყოფილებაში ცნობები ძველევთ ორშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით $13^1/_2$ ს-დან 15 ს-მდე. მხოლოდ ამავე დღეებში ღებულობენ პიროვნულის შემადგენლობის განყოფილების და საერთო განყოფილების უფროსები იმ პირთ, რომელნიც არ მსახურებენ სამხედრო სამინისტროში.

4) წინა მეხლებში აღნიშნულის დღეების გარეშე უცხო პირნი სრულებით არ იქნებიან შემოშვებულნი სამინისტროს შენობაში, შემოიშვებიან მხოლოდ სამხედრო სამინისტროს ხარისხოსნება, არშიის თანამდებობის პირნი და სხვა სამინისტროების წარმომადგენელნი, რომელთაც ესაჭიროებათ სამხედრო სამინისტროში ყოფნა სამსახურის საქმის გამო.

ამას გარდა შემოიშვებიან ის პირნი, რომელთაც ექნებათ მინისტრის ან მის თანაშემწეთგან საკუთარის ხელით დაწერილი ბარათი რიგს გარეშე მიღების შესახებ.

დაპატიმრებულთა შესახებ.

სამხედრო მინისტრის ბრძანებით სათანადო განკარგულება გაიცა, რათა საქართველოს რესპუბლიკის ლაშქრის დაპატიმრებულ აფიცერთა და სამხედრო მოხელეთა საქმე საჩქაროდ იქმნეს განხილული და მოხსენდეს მინისტრს მთელი მასალა მათ შესახებ კანონიერ პასუხისგებაში მისაცემათ.

დარიალის სიმაგრეების შესახებ.

სამხედრო მინისტრი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს გასცეს განკარგულება, რათა დარიალის ხეობის ადგილობრივ ადმინისტრაციამ დახმარება გაუწიოს სამხედრო შუშაობის მწარმოებელთ დარიალის სიმაგრეებზე, რითაც კი საჭირო იქნება.

ფოსტა-ტელეგრაფი.

საფოსტო ვაგონი.

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ საფოსტო ვაგონში სამოგზაუროდ არავინ არ შეიშვებიან, გარდა ფოსტის მმართველისა გამგეთის წერეთი, თანახმად საფოსტო კანონისა.

გზათა სამინისტროში.

ტყვიბულის მუშები.

გზათა სამინისტრო მთავრობის წინაშე შუამდგომლობს გადაიდოს 500,000 მან. ტყვიბულის მუშების საქმეთა დასაბოლოვებლად.

სატეხნიკო დარგი.

ანკეტა.

ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა ამხანაგობას აწყობს ანკეტას სპეციალისტთა შორის. საანკეტო ფურცელი შეიცავს 14 უმთავრეს მეხლს.

ჰიდრო-ტეხნიკური სადგური.

ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა ამხანაგობამ მიიღო წინადადება ქარალეთ-თორტიოს შემნახველ-გამსუსხსაველ სადგურებიდან ბორის ახლო ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მოწყობის შესახებ.

სანიმუშო ანგარიში.

ქართულ საბჭონეო საზოგადოებამ გადაწყვეტა საჭიროდ შეადგინოს და გამოსცეს „დღეულებანი სანიმუშო ანგარიშისა“ (Уроч-ное положеніе) საქონო მუშაობის უკვე შეუდგენენ.

საქიმო-სასანიტარო საქმეები

„ისპანკა“.

საქართველოში ინფლუენცია ქალაქად და სოფლად სასტიკად არის მოდებული. ოჯახი არ არის, რომ ამ ხანად ავადმყოფი არ იწეს, ან არ ჰყოლოდეს ახლო წარსულში. საკვდილის პროკენტიც შესამჩნევად დიდია. სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ გადმოგვცა, რომ ქიზიყში ორი კვირის განმავლობაში 240 კაცი მომკვდარა. სიღნაღის მაზრა მთლად მოდებულია ეპიდემიით. ხალხი შიშში და მწარე საგონებელშია ჩავარდნილი. თელავის, გორის და სენაკის მაზრებიც ამავე მდგომარეობაშია, როგორც იქიდგან ჩამოსულები გადმოგვცემენ. ს. ახალსოფელში, თელავის მაზრაში, დღეში თურმე 10-15 კაცი კვდება და ორი მესამედი სოფლისა ავად არის, იქიდან ჩამოსული ექიმის სიტყვით. აი ასეთი სურათია ამ ხანად სოფლად. ერთ მხრივ, და მეორე მხრივ-კი, ასეთ ნაირად დაავადებულ სოფელს არა ჰყავს ექიმი, არა აქვს წამალი და არ მოეპოვება თითქმის არავითარი დახმარება, პროვინციაში ძალიან ცოტა ექიმია. ყველს ქალაქ ადგილს მოუყრია თავი. პროვინციის აფთიაქში ქინაქინა და სასაქმეველი ზეთიც კი არ მოიპოვება. ეს. ტფილისში კი მომმარაგებელ კომიტეტის საწყობებში წამალი და სხვა საჭირო საქონელი არის, მაგრამ იქიდან ცოტა რამის გამოტანა რომ მოინდომოთ ბევრი კანცელარიის ნახვა დაგჭირდებათ და ბოლოს მაინც ვერას მიიღებთ. თითქმის ყველას აზრი, ფიქრი და საქმე მიქცეულია პოლიტიკისკენ და ისტორიაზეა საკითხ ფაქტებისკენ. ხალხის ჯანმრთელობა, მისთვის საჭირო მკურნალობა-სანატორია კი მიტოვებულია. გვავიწყდება, რომ მხოლოდ „ჯანმრთელ სხეულშია სული სული“, როგორც ძველად ბერძნები ამბობდნენ.

ექიმი ლი.

პარლამენტინის გარშემო.

სოციალ-დემოკრატიულ ბლოკის ხელმძღვანელ სომეხთა სახალხო ფრაქციის განცხადება.

იმ შეკითხვის პასუხად, რომელიც აღძრა პრეზიდიუმმა ამა ოქტომბრის 23 № 14561 დაშაკაციუთიუნთა ფრაქციის შუადგომლობაზედ, რათა მას მისცემოდა ადგილი პარლამენტის სხვა და სხვა კომისიებში, ვაცხადებთ რომ ეს თხოვნა ფრიად სასურველია, რადგანაც ჩვენ გვგონია რომ პარლამენტში სხვა და სხვა კითხვების გარჩევა გამოიხატება არა მარტო კანონ-პროექტის განხილვაში, არამედ ამავე დროს ერთ და ერთ შემოშვებაში. ჩვენი ფრაქცია თავის მხრით ითხოვს ადგილს შემდეგ კომისიებში:

1. საბიუჯეტ. და საფინ. . . ბარხუდარიანს
2. იურიდიული . . . . . დოლუხანიანს
3. დამფუძ. კრებ. საარჩ. . . დოლუხანიანს
4. საკონსტიტუციო . . . . . ბარხუდარიანს
5. სახალხო განათლებისა . . ბარხუდარიანს
6. ადგილ. მმართ. და თვითმართველობაში . . . . . დოლუხანიანს
7. ხელოვნებისა . . . . . დოლუხანიანს

ფრაქციის თავჯდ. ბ ა რ ხ უ დ ა რ ი ა ნ ი.
მდივანი დ ო ლ უ ხ ა ნ ი ა ნ ი.

საქართველო და მოვავალი.

ბათუმის ბედი.

ინგლის-საფრანგეთის და ოსმალეთის შორის დადებულ წესისწარ ზავის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ინგლისელებს ეძლევათ ნება ბათუმის დროებითი ოკუპაციისა, საბოლოოდ ბათუმის ბედის გადაწყვეტა კი, როგორც სჩანს, მომავალს ეკუთვნის.

გერმანიის ჯარი საქართველოში.

იმ გერმანიის ჯარის შესახებ, რომელიც საქართველოში რჩება, გერმანიის დელეგაციის წევრმა გადმოსცა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს, რომ შეიძლება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით ეს ჯარი იქნას გამოცხადებული როგორც ნეიტრალური ჯარი.

საქართველოს რესპუბლიკის მომავალი.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი შეეკითხა ერთ პასუხისმგებელ გერმანიის დელეგაციის წევრს, რათა ამ უკანასკნელს გამოეთქვა თავისი აზრი საქართველოს რესპუბლიკის მომავალზე. გერმანიის დელეგაციის წევრის აზრით, საქართველოს რესპუბლიკას დამოუკიდებლობა მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე იქნება ყველასაგან ცნობილი. ის გარემოება, რომ საქართველო უკვე იცვნეს სუვერენულ სახელმწიფოთ შეიცვალა, შეეცალრიან და დანიან, ცოტა რამეს არ ამბობს ამ საკითხის გამოსარკვევათ. უეჭველია, რომ ამ დასახელებულ პატარა სახელმწიფოების გადაედგათ ეს ნაბიჯი მანამ, სანამდე არ შეიტყობდნენ ინგლის-საფრანგეთის აზრს ამის შესახებ. ამას გარდა ვილსონის მოთხოვნილება ეროვნებათა თვითგამორკვევის შესახებ უზრუნველ-ყოფს საქართველოს სუვერენობას. მომავალი სამშვიდობო კონფერენცია იქნობს საერთოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ ყველა სამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. ისინი ეს იგი საქართველო, აღერბეჯანი და სომხეთი ფაქტიურად უკვე არსებობენ დამოუკიდებლად, ასე რომ ამ ფაქტის დადასტურება მოხდება, უფუოდ საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე.

ამიერ-კავკასია

ბაქოს ვითარება.

გერმანიის დელეგაციის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, ბაქოში სიმშვიდეა. გერმანიის დელეგაცია იქ აღარ იმყოფება. ბაქოში დარჩა მხოლოდ ერთი გერმანელი ექიმი და სამხედრო ტყვეების საქმეთა კომისარი. გერმანელი ტყვეები კი იქ აღარ არიან. ბაქოში ამ ჟამად იმყოფება მხოლოდ 150 ავსტრიელი ტყვე. თუმცა ნური-ფაშა ბაქოშია, მაგრამ ოსმალოს ჯარი იქ აღარ უნდა იყოს.

გ ე რ მ ა ნ ი ა.

(საქართველოს დეპეშათა საგენტო).

ვიქტორ ადლერი.

ვენის გაზეთების ცნობით სახელმწიფო საბჭოს შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: საგარეო-საქმეთა სტატს-სეკრეტრად ახლად დანიშნული ვიქტ. ადლერი 3 ნოემბერს წარუდგა გერმანიის ელჩს გრაფ ვედელს, რომელსაც ოფიციალურად აცნობა გერმანულ-ავსტრიის მთავრობის მიგრ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და სთხოვა ელჩს, როგორც გერმანიის იმპერიის წარმომადგენელს; ვენაში დარჩეს.

დროებითი ზავის საქმე.

„ფრანქფურტერ-�eტფნეგის“ ცნობით, დროებითი ზავის პირობებზე მოსალაპარაკებლათ გერმანიამ თავის მხრით დანიშნა ჰაგის სამშვიდობო კონფერენციის ყოფილი სამხედრო დელეგატი გენერალი ფონ-გოუნდელი, პარიზს ყოფილი სამხედრო ატაშე გენერალ მაიორი ფონ-ფირტენფელდი ტ გარეშე საქმეთა სამინისტროს ყოფილი სტატ-სეკრეტარი კონტრ-ადმირალი მაფერი. იმ ფაქტიდან, რომ დასავლეთში გერმანიის რწმენებულები გამგზავრდნენ ის დასკვნა გამოდის, რომ დროებითი ზავის პირობების გამომუშავება ჩქარის ნაბიჯით წაიწევა წინ.

სამხედრო კაბინეტი მთელი დღის განმავლობაში ვილსონის საპასუხო ნოტას იხილავდა.

ქართული ლატარია

— მოგზაურობიდან უკვე დაბრუნდა ლატარიის საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიოდნენ გამგეობის წევრი სოლ. ახვლედიანი, შალვა დადიანი და დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე.

— საგანგებო კომისია იყო ქუთაისს, ფოთს, სენაკს და ზუგდიდს. განზრახვა აქვთ ესეთი მოგზაურობა მოაწყონ აგრეთვე ახეთს, ქარელსა და ვეფრას.

— საცა კი ჩავიდა საგანგებო კომისია ყველგან დაარსა ადგილობრივი, საგანგებო კომიტეტი ლატარიისა და მათ ჩააბარა თავიანთი კუთხეებში ბილეთების გასაღება. ამ გვარად ქუთაისში სხვა და სხვა დაწესებულებათა და პარტიათა წარმომადგენელთაგან დანიშნულ იქმნა ბ-ნი ივ. ჰუოსაფი. ქუთაისის კომიტეტმა ბ-ნი ქ. ქუთაისისა თავს იდვა რაჭა-ლეჩხუმის, შორაპნის და ქუთაისის მაზრებშიაც ლატარიის ბილეთების გასაღება.

— ქ. ფოთში საგანგებო კომისიამ ლატარიის ბილეთები ჩააბარა ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებს და მათაც იკისრეს, როგორც ქ. ფოთში, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროებზე ქ. სოხუმამდე ბილეთების გავრცელება.

— ქ. სენაკში შესდგა კომიტეტი ყველა პარტიათა და სამაზრო ერობის წარმომადგენელთაგან. მათ ეკისრებათ მთელ სენაკის მაზრაში ბილეთები გასალოონ. აგრეთვე მოხდა ქ. ზუგდიდში.

— კომიტეტების დაარსების გარდა ლატარიის საგანგებო კომისიამ ქ. ქუთაისსა და ფოთს გამართა ერთი დღის ვაჭრობა ლატარიის ბილეთებისა ქალაქის ქუჩებზე. ერთდღიურმა ვაჭრობამ ქ. ქუთაისში შემოიტანა 25,000 მან.

— ქ. ფოთში ერთ-დღიურმა ვაჭრობამ შემოიტანა 30,000 მან.

— მოგზაურობის დროს მსახიობებმა ვასო აბაშიძემ და შალვა დადიანმა გამართეს ქ. ქუთაისს და ფოთს ლატარიის საღამოები, რომლებზედაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო; ამ საღამოებზე გამგე-დირიქტორი სოლ. ახვლედიანი ხუსნიდა დასსწრე საზოგადოებას ლატარიის მიზანს და მნიშვნელობას, ხოლო მსახიობნი ასრულებდნენ სპეციალად სალატარეოთ დაწერილ შარეს. იქვე მსახიობნი ჰყიდდენ ლატარიის ბილეთებს.

ქალაქის გამგეობაში.

შეშის ჩამოტანა.

ქალაქის გამგეობამ მოიწონა ა. მ. ხოშტარიას პირობები, მოქალაქეთათვის შეშის ჩამოტანის შესახებ და დადგინა ხელშეკრულობა დაიდოს მასთან ამ საგანზე.

გაფაცვის მოლდინში.

ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა უკანასკნელ ვადათ სექტემბრის და ოქტომბრის ჯამაგირების დასარიგებლათ ქალაქის გამგეობას 10 ნოემბერი დაუნიშნა და თუ ამ ვადამდე გამგეობამ თავის მოსამსახურეებს ჯამაგირები არ დაურიგა, მაშინ გაფაცვის გამოცხადებას აპირებენ. ქალაქის გამგეობამ ეს მოხსენება მხედველობაში მიიღო და დადგინა: ყოველივე ღონისძიება იხმაროს დანიშნულ ვადაზე ფულის საშოვნელათ.

„ისპანკა“.

რადგანაც ქალაქში ძალიან გავრცელებულია სხვა და სხვა ავადმყოფობა, ნაამტანათ ეგრეც წოდებული „ისპანკა“, ქალაქის საექიმო სასანიტარო ბიუროს დადგენილებისამებრ დღეიდან ცენტრალურ სამკურნალოს აფთიაქი საღამოს 9 საათამდე უნდა მუშაობდეს 3 საათის მაგივრათ და ამის გამო დაარსდა ფარმაცევტებს მორიგეობა.

იაფ-ფასიანი პური.

იაფ-ფასიან პურის დარიგებას ქალაქის გამგეობა შეუდგება 12 ნოემბრიდან, პირველად პური მიეცემა იმ ბინებს და უბნებს სასურსათო ორგანიზაციებს, რომელნიც 9 ნოემბრამდე გამოუცხადებენ ამ პურის მიღების სურვილს. პური გაიყიდება 1 მან 60 კაპ. და სულზე $^1/_2$ გირვანქა მიეცემათ.

ბინა.

რადგანაც ქალაქის გამგეობამ ვერ მოსძებნა შესაფერი ბინა სულით ავადმყოფთათვის, თავშესაფარის გადასატანათ, მან უკანასკნელს თავის სხდომაზე გადასწყვიტა ეს თავშესაფარი კიდევ ერთი წლის ვადით იმავე ბინაზე დასტოვოს ტიზენგაუზენის სახლში, კოჯორის ქუჩაზე.

საექიმო-სასანიტარო საქმე.

ქალაქის გამგეობის საექიმო და სასანიტარო ნაწილის რეორგანიზაცია ქალაქის გამ-

გეოგრამად გადასდო, სანამ ქალაქის ხმოსნების ახალი არჩევნები დამთავრდება.

ნაციონალიზაცია.

ქალაქის გამგეობამ დაიღება პროფესიონალურ ქალთა სახელოსნოში ჯერ-ჯერობით პირველ განყოფილებაში შეიტანოს ნაციონალიზაცია, ერთ განყოფილებაში ქართული და მეორეში სომხური ენა.

ს. ფირუმოვი.

ქალაქის გამგეობის საფინანსო განყოფილების გამგედ გამგეობის წევრი ს. გ. ფირუმოვი დანიშნა.

ელექტრონის საკითხი.

ქალაქის გამგეობამ უფროსი ინჟენერი ს. ა. შუხარინსკი დანიშნა იმ კონფლიქტების გასარჩევად, რომელიც გამოწვეულია ელექტრონის ზხმარებელთა და ელექტრონის სადგურების პატრონთა შორის სადგომების და მაღაზიების გაფონთელობით.

დახმარება გვარდიელებს.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა სახალხო გვარდიის უმთავრეს შტაბს გაეგზავნოს 6100 მან. მოკლულ და დაჭრილ გვარდიელების და მათ ოჯახობის დახმარების აღმოსაჩენთან: დარია ნაკაიშვილისას ნიეცეს 1000 მან., ალექსანდრე ყოველაშვილს—300 მან., ბარბარე ჩიხლაძეს—1000 მან. კალისტრატ აბესაძეს—500 მან., დავით კერესელიძეს—300 მან., ელისაბედ ბოლქვაძისას—1000 მან., ირსენ ტურაბელიძეს—1000 მან. და ნინო ქურდაშვილისას—1000 მან.

პროფ. ქალთა სასწავლებელში.

თანახმად ქალაქის სასწავლებლების საბჭოს თავმჯდომარის გ. ვეშნიერის წინადადებისა ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, რომ ამიერიდან ყოველ პროფესიონალურ ქალთა სასწავლებელში შემოღებულ იქნეს სწავლა გეოგრაფიისა, ისტორიისა, ბუნებისმეტყველებისა, საქონლის ცნობისა, გალობისა და გიმნასტიკა.

საეპიდემიო ფონდი.

ქალაქის გამგეობასთან არსებულ საეპიდემიო ფონდისათვის გაწეული გადასახადიდან დღეივანლამდე შემოსულა 400,000 მანეთი. ნავარაუდევია, რომ ამ თანხისათვის შემოვა ერთი მილიონი მანეთი.

სასანიტარო მდგომარეობა.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ანტისანიტარული მდგომარეობის გამო დაიკეტოს ბუზკინის ქუჩაზე სარეცხისაცის ძეხვის ფუქანი და პატრონი სამართალში მისცეს.

მილიციონერთა შესახებ.

ქალაქის გამგეობას საბჭოში შეაქვს მოხსენება უფროს და უმცროს მილიციონერების ჯამაგირის მომატების შესახებ.

სახ. თეატრის ბილეთებზე.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა საოპერო წარმოდგენაზე შესაფალი ბილეთები სახე ლმწიფო თეატრში განთავისუფლებული იქნეს ქალაქის სასარგებლოდ გადასახადისაგან.

ქრონიკა

○ სიღნაღის ამბები. სიღნაღის ქალაქის თავმა ერ. სარბილაძემ თავის თანამდებობის თავი დაანება. მის მაგიერ აირჩიეს გამგეობის წევრი ი. გოცირიძე.

— სიღნაღის ერობის გამგეობა ^ მ. კლიმაშვილის თავმჯდომარეობით შეუდგა საქმის წარმოებას. ერობის დადგენილებით გამგეობაში იქნება 7 წევრი. ჯერ გამგეობაში არის 5 წევრი. ორი წევრი სოც.-ფედერ. ფრაქციისა არ შესულა ორგანიზაციის დადგენილებით.

— სიღნაღსა და მის მაზრაში საშინლად მძვინვარებს ეგრეგ წოდებული ავადმყოფობა „ისპანკა". რადგანაც ექიმების დახმარებას და წამლებს მცხოვრებნი მოკლებულნი არიან, ამისთვის სიკვდილის შემთხვევები ბლომად არის. საჭიროა განსაკუთრებული ზომების მიღება.

— ერობის პირველ ყრილობის თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს სიღნაღის ქალაქის თავად ნამოყვი ე. სარბილაძე, მის ამხანაგად გინმაზიის მასწავლებელი ბეგიაშვილი და მდივნად მაზრის კაბშირის მოსამსახურე სვ. ნატროშვილი.

○ საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ვაჭრის დიმიტრი გორგიეს ძის ცოცხალაშვილისა, რომელსაც ნიხრეეთი ეაჭრობა ბრალდებოდა. სასამართლოს თავმჯდომარეობდა სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ე. ვ. ჩერქესოვი. წევრებად ვ. დ. გომბორეთი და საგინაშვილი. ბრალმდებლად იყო ბრალმდებლის ამხანაგი ვ. ვაჩნაძე. ბრალდებულს იცავდა მ. ნ. ჩხიკვაძე. სასამართლომ გადამართალა ცოცხალაშვილი.

○ ქართულ სამუსიკო საზოგადოება 23 ნოემბერს მართავს მეორე კამერულ კონცერტს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ბბ. ჩერეპანინი, ბენდიქცი (როიალი), ზალიბსკი (სიმღერა) და ქალთ. სამუსიკო სკოლის კვარტეტი.

○ 6 ნოემბერს ღამით კირჩხინი ქუჩაზე გასტეხეს კურბატოვის დუქანი და მოიპარეს 7000 მანეთი ფულად.

○ მიღიციის უფროსმა დაატუსაღა რამდენიმე ქურდი, რომელთაც ამ დღეებში სასახლის ქუჩაზე გასტეხეს ყოფილ „ლოტს" საკანდიტერიაში მოთავსებული დუქანი და მოიპარეს ბრავალი ძვირფასი ნივთები.

ქართული სამუსიკო საზოგადოება

პარასკევს, 1 ნოემბერს კონსერვატორიის დარბაზში ქართ. სამ. საზოგადოებამ გამართა თავისი პირველი კვარტეტ-კონცერტი. პროგრამმა შესდგებოდა განსაკუთრებით გერმანელ კომპოზიტორებისგან: ბეტჰოვენი, შუბანი (კვინტეტი) და შუბერტი.

ეს თხუზულებები ცნობილია, როგორც საუკეთესო მუსიკის ქმნილებად და ეხლა უნდა გავარჩიოთ, თუ რამდენად შესაფერია კვარტეტმა: ფიშბერგმა (1 ვიოლინო), ბელსკიმ (2 ვიოლინო), მედა-მედმა (ვიოლა) და ბენდიქციმ (ჩელო). ეს პირველი გამოსვლა იყო ქართ. სამუსიკო საზოგადოების კვარტეტისა. ამ მოკლე ხანში კვარტეტი საყურადღებოთ არის შეზავებული და დიდი შრომის უნარი ეტყობა. თავის სერიოზულ პროგრამით და მის შესრულებით მართლაც რომ ყურადღება მიიქცია და დიდის სიამოვნებით მოვისმინეთ. კვარტეტი კარგი ძალებისაგან შესდგება და თქმა არ უნდა, რომ მომავალში თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ქართ. სამუს. სკოლის კვარტეტი.

ნიკოლაევის (როიალი) მხრივ შუბანის კვინტეტის ასრულება დიდის პოეტურის გრძნობით არის გადმოცემული, ნიკოლაევს ჩვენი საზოგადოება იცნობს როგორც გამორჩნილ პიანისტს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოება საკმარისად დაესწრო და დიდის სიამოვნებით გამოვიდა დარბაზიდან ასეთ სერიოზულ და მშვენიერ შინაარსიან კონცერტის შთაბეჭდილებით.

გ.

ქუთაისი

○ ძვ. ნიკორწმინდის საზოგადოებაში (რაჭაში) დაატუსაღეს ზაორი ჭალაზე, დუქანში ქეიფობის დროს ორი საქმეო პირი. ერთი მათგანი აღმოჩნდა სოფ. დილიკოურის მცხოვრები ბიხაძე, რომელიც ქუთ. საფირჩხიაზე ცხოვრობდა და სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებისთვის მთავრობა მას სდევნიდა, მაგრამ ის დღემდე იმალებოდა, მეორე უნდა იყოს სოფ. ჯოყვეთის მცხ. კაპანაძე (მისივე თქმით). დატუსაღებულები გაიგზავნენ ამბროლაურის რაიონის კომისარიათან, სათანადო ორმით.

○ ყაჩაღები ნაქერალას მთაზე. 25 ოქტომბერს საქერალას მთის წვერზე ყაჩაღები ხოტაევის კომისარისა და მილიციონერების სახელით ეგზავრებს ჩხრეკდენ, ვითომდა სახაზინო ქონების აღმოჩენისთვის და ირთმევდენ გამვლელ-გამომვლელთ როგორც ყოველგვარ ნივთებს, ისე ფულსაც. ეს თავის დროზე ეცნობა ხარისთვალის მილიციონერებს, რომლებთანაც ამ დროს „რაჯა-ლეჩხუმის საგანგებო რაზმის" ორი წევრი—აკ. გოცირიძე და არტემ კობახიძე იმყოფებოდნენ და ისინი ყაჩაღებს მოულოდნელთ თავს დაესხნენ. ბრძოლამ პოზიციური ხასიათი მიიღო. შემდეგ ყაჩაღები გადაცვივდნენ და მიიმალენ. მათ მთაზეა 2 ათასი მანეთამდე ღირებული ნაკარაცვი ქონება, პირის სალეკავი „ერასკა" და ორი გაკარცული ტყვე. უკანასკნელთა გადმოცემით ორი ყაჩაღი დაიჭრა. მათ დასაჭერად ზომებია მიღებული.

○ უკაბედი შემთხვევა. 8 ოქტომბერს სილოვან უგულავას ხელში სპერია რევოლვერი და მიუკიდ ცოლისთვის შესანახად; ამ დროს გავარდნილა რევოლვერი და მოხვედრია იქვე მდგომ მამამისს, რომელიც იქვე გარდაცვლილა

○ მკვლელობა. 9 ოქტომბერს სოფ. ეკში, საკუთარ სახლში ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა მოჰკლა ანტონ ტაბაღუა, რის შემდეგ მიიმალა. გამოძიებიდან გამოირკვა, რომ მკვლელობასთან კავშირი ჰქონებია ვიღაც ევგენი ტაბაღუას.

○ მკვლელობა. მამლოს შესახებ დაიბის დროს მიხა ნაკეფალიმ თოფით მოჰკლა თავისი ძმა ლავრენტი და მიიმალა.

○ ქუთაისში ანტორა „იმერეთში" ვრცელდება შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „ერთობა"—500 ცალი, „სახალხო საქმე"—300, „საქართველო"—180, „კლდე"—200, „ალიონი"—200, „საქართველოს რესპუბლიკა"—150, „შრომა"—30, „ბორ-ბა"—600, „გრუზია"—250, „კავ. სლოვო"—100, „ედინენიე"—150, რუს. „სოც.-დემოკრატ"—150, „ტფილ. ლისტოკი"—15, ქუთაისური „სოციალ-დემოკრატი"—150—200, „ხალხის მეგობარი"—100, —200.

ბანცხადებები

აუქციონი

ტფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 10 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში საჯაროდ გაიყიდება ვადა გასული გირაოები: ძვირფასი ლითონები და ქვები, ლითონის ნივთები, საკერავი მანქანები, ხალიჩები, ბეწვეული, ტანისამოსი და ყოველგვარი მოძრავი ქონება.

ძვირფას გირაოთა ნომრები:

76904, 77607, 83730, 85881, 86322, 86363, 86552, 86721, 87118, 87368, 97423, 97428, 97444, 97500, 97515, 97517, 97525, 97559, 97601, 97639, 97825, 97854, 97874, 97898, 98005, 98030, 98060, 98069, 98085, 98100, 98118, 98125, 98187, 98248, 98307, 98325, 98369, 98389, 98392.

ლითონის და სხვა გირაოთა №№

8982, 13713, 14180, 14188, 14257, 14258, 14313, 14314, 14315, 14335, 14361, 14363, 14368, 14388, 14483, 14490. 1012 1—1

საქართველოს რესპუბლიკის

ჯარების სამხედრო სასამართლო

1918 წ. ოქტ. 30 დღის დადგენილებით სამხედრო სამართლის წესის მე-951 მუხლის ძალით ეძებს სოფელ საყლიავო, სენაკის მაზრის მცხოვრებს, პირველ მსროლელ პოლკის უფროს უხტერ-ოფიცერს ალექსანდრე მიხეილი ძეს ხაფონიას, 39 წლის, რომელსაც ბრალი ედება სასჯელთა დებულების მე-13 მუხლით და მე-160 და 155 მუხლთა მე-XXII წოდ. ს. დ. კ. მე-4 გამოცემის ძალით. ნიშნები შემდეგია: ცოტა ქარისგან არის დახუთული, რიხ გამო დიდხან სიარული არ შეუძლიან. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ხაფონია, ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში, ოლღას ქუჩა, № 48. 885 3—1

ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს 1899 წლის აგვისტოს 2 გარდაცვალებული ვლადიმერ ბესარიონის ძე სამადლოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამადლოვის ქონებაზე მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 967 1—1

ქ. ტფილისის მეოთხე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1912 წ. აგვისტოს 14 გარდაცვალებულ ვასპარ ბაგდასარის ძე მატინიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მატინიანცის ქონებაზე I ნაწ. მე-X ტ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 966 1—1

მოწმობა, მიცემული ბაგრატ სერგის ძე მარტიროზოვის მიერ თავის მამაზე სერგის ქრისტეფორის ძე მარტიროზოვზე და შედგენილი უმცროს ნოტარიულ გრიგორიევთან 1901 წ. მაისის 16 რეესტრის 2404 №-ით გაუქმებულად ითვლება. 1016 3—1

ივანე იაკობის ძე ლიახოვიჩი აცხადებს, რომ მან დაკარგა უვადო პასპორტი, მიცემული ჯვეთის სამაზრო სამმართველოდან 1910 წ. ივლისის 25 № 864. 3—1014—1

ტფილისის ვაჭართა ბანკი ამით აცხადებს, რომ დასახელებულ ბანკის ბილეთი № 598, მიღებული 1917 წ. სექტ. 18, 4885 მანეთის ბაგდასარ ჰარიპეტის ძე მანუკიანცის სახელზე, დაკარგულია, რის გამოც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

მპოვნელს სოხოვენ მოიტანოს ბილეთი ბანკში. 3—898—1

ჩემი კელენტების საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ საქართველ. რესპუბლიკის სახელმწიფო სამსახურში ჩარიცხვის გამო, უარს ვაცხადებ იმ საქმეების წარმოებაზე, რომლებიც მე აღებული მქონდა. საქმეების და საბუთების მისაღებად გთხოვთ მობრძანდეთ ტფილისი, მაზუთის შესახვევი, № 5. ნაფიცი ექიმი ლეონ სულხანის ძე ამირაგოვი. 1085 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 18 დამტკიცებულია, გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილისან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ვლადისლავ სიმონის ძე პეტკოვ 40000 მან. მიპყიდა როზალია ვლადიმერის ასულს ზენიპრს 2 ნაკვერი მიწა ქ. გუდაუთში № № 2 და 3 მე-58 უბან., ზომით 588 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადთ მიღებულია 1600 მან. საღირბო 200 მ.

857 1—1.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 19 დამტკიცებულია, გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც პარასკევა ვასილის ასულმა შჩელოჩილინმან 2000 მ. მიჰყიდა ანნა თედორეს ასულს ვაშჩენკოს მიწის ნაკვერი ქ. გუდაუთში № 6. უბ. № № 122 და 123, ზომით 240 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადთ მიღებულია 80 მან. საღირბო 10 მ.

856 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ სასრულეზი მოსაყვანად დაამტკიცა 1915 წ. აპრილის 7 შედგენილი ნოტარიალური ანდერძი 1918 წ. 8 აგვისტოს გარდაცვალებულის ანტონ პეტრეს ძე კურუეიძისა, რომელიც ცხოვრობდა ქ. ქუთაისში.

871 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ივლისის 7 დადგენილებით დაამტკიცა ეკატერინე ანდრიას ასულის შტრახოვას ნოტარიალური ანდერძი. 863 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. სექტემბრის 18 დადგენილებით დაამტკიცა ნატალია ზაკარიას ასულის ვარკაჯშინას (ოგიგე ვარკაჯშინის) შინაური ანდერძი.

880 1—1.

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ივლისის 5—7 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ანაკლიხის მოქალაქის პავლე პეტრეს-ძე პაპაზოვის. 877 1—1

გორის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ელისაბედ ზაკარიას ასულის დაგროვას და დარია სიმონის ასულს გოგიჩაიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება დაგროვასა და გოგიჩაიშვილის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში.

897 4— 2

დაიკარგა ევგენი გამრეკელის სახელზე, კერძო ლომბარდიდან, მიცემული ბილეთი № 34305 რაც გაუქმებულთან უნდა ჩაითვალოს.

1013 3—2

დაიკარგა ბილეთი ტფილისის პირველ კერძო ლომბარდისა № 74104 50 მან. 3—2

ილარიონ სიმონის ძე სიხარულიძე ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის ქალ. სადგურზე: 1) უვადო პასპორტი, მიღებული ქალ. ბათუმში, 2) ბათუმში წასასვლელი პროპუსკი თავისი სურათით. მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს ტფილისის სადგურის I კლასის ბუფეტში. 3—2

ტერეზა ფრიდრიხის ასული ბეპლე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობები, მიღებული კავკასიის ლაშქრის ბანკი საქმეების უფროსის სამმართველოს სალიკვიდაციო კომისიიდან ედუარდ ფრიდრიხის ძე ბეპლეს სახელზე ამა წლის 22 ივნისის № 1139 და ამა წლის 13 აგვისტოს № 1685. ობლების სასამართლოს უქაზის ასლი № 259 მიღებული ამა წლის იანვრის 31. და ეკატერინეს ასლი მის სახელზე მიღებული მარგარიტა იულის ასულ ბეპლეგან. ეოდეო-კამის ბანკის წიგნაკები მამდინარე ანგარიშისა ედუარდ ბეპლეს სახელზე და აზოვის ბანკის კვიტანციები ფულის მიღების შესახებ. 979 2—2

ეკატერინა მიცემული ჩემდამი ასლან ოტიას ძე ფანცულაიაზე, შედგენილი ბათუმის ნოტარიუს პრუსკისთან 1918 წ. მარტის 10, ნუსხა № 873, დღეიდან გაუქმებულად ითვლება და თუ მას ვისმეს მიცემული აქვს სავალო ვალდებულება, ისინი 15 დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდეს ქ. ახალ-სენაკში, ზინოვი ზაკარიას ძე კალანდარაშვილთან ან წერილობით შეატყობინონ მას. 1003 3—2

დაკარგულია პირველ ტფილისს კერძო ლომბარდის ბილეთი № 73085 400 მანეთისა. წერეთლის სახელზე. 988 3—3.

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. სავეარელიძე.